ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს შორის

ერთი მხრივ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმოდგენილი რექტორის, კახაბერ კორძაიას სახით და მეორე მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის სახით, ერთმანეთის სახელის, ღირსებისა და ავტორიტეტის პატივისცემის პრინციპით, გამოვხატავთ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

2.1.მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა, ერთობლივი ღონისძიებების, პროექტების, კვლევების და ინიციატივების განხორციელების გზით.

2.2.სტუნდეტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და კვალიფიციური კადრების მომზადება.

3. ერთობლივი ღონისძიებები

მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგი ფორმით:

3.1. სააგენტო უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების (საბაკალავრო/სამაგისტრო) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისა და სტუდენტებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით სტუნდეტებისთვის არაანაზღაურებადი აქტიური პრაქტიკის გავლაში ხელშეწყობას;

3.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პრაქტიკის გავლის მსურველი სტუდენტთა შერჩევას და სააგენტოსთვის შესაბამისი სიის მოწოდებას;

3.3. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, საჯარო ლექციების ორგანიზება, ექსპერტული კონსულტაციების შემუშავება და სხვა);
3.4. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს თანამშრომლები და პროექტში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით.
4.2. მიზეზის დასახელების გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
4.3. კონკრეტული მიზეზის მითითებით მემორანდუმის გაუქმება შესაძლებელია მეორე მხარისთვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
4.4. მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეები (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) ვალდებულნი არიან განახორციელონ ყველა შესაბამისი და საუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში დაწყებული ერთობლივი პროექტის დასასრულებლად.

5. სხვადასხვა დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის და არ წარმოადგენს სავალდებულო შეთანხმებას რომელიმე მხარისათვის.
5.2. წინამდებარე მემორანდუმის გადასინჯვა შესაძლებელია ერთობლივად, მხარეთა წინასწარი კონსულტაციების შემდეგ.
5.3. მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით (ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).
5.4. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო
ს/კ 201951637	ს/კ 205310938
Email: ciu@ciu.edu.ge	Email: info@gnca.gov.ge
/ კახაბერ კორძაია/	/ირაკლი ლექვინაძე/
რექტორი	თავმჯდომარე